

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2018 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 80 000 (ოთხმოციათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. ამ პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები, რომლებიც განცხადების შეტანის დღემდე რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:
 - ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) ექიმის მიერ გაცემული რეცეპტი (დადგენილი ფორმით) პაციენტის სახელის და გვარის მითითებით ასევე ფორმა 100ა.
 - გ) ამონაწერი აფთიაქიდან შესაბამისი მედიკამენტის ფასის მითითებით.
 - დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. მედიკამენტების ტალონის გაცემის წესი და ოდენობა:

1. პროგრამით განსაზღვრულ მოქალაქეებს მიეცემათ მედიკამენტების ტალონი პირადი განცხადების საფუძველზე არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით - ერთჯერადად.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას ათანხმებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და განმცხადებელს გადასცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს. თვეში ერთჯერ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

